


მხედველი


ქართულ იუნიკოდთა კავშირის ორგანო



1930 წ.

აპრილი

პარიზი



შინააწილი:

X ტფილისის დატოვების შესახებ — * * *
საქართველოს გოლგოთა — პოლკ. ირ. ცაგურია
ომი მარტოში — ნიკ. თოხაძე
ქვეითი ჯარი — ვ. ნა—ლი
არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება — ლ. მ.
წარსულის მწვერვალზე — ბ. ვარდანი

X

ბ ზ ი ლ ი ს ი ს

ღ ა ტ ო ვ ე ბ ი ს უ მ ს ა ხ ე მ

საქართველოს რესპუბლიკის დამხობა შედეგია იმ შეცდომებისა, რომელიც არსებობენ მისი სამი წლის დამოუკიდებლობის ხანაში.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღიდანვე ქართველი ხალხი დადგა საგარეო საფრთხის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უორგანიზაციო და უიარაღო საქართველომ შესძლო ამ საფრთხის ლიკვიდაცია, მაინც მიენიჭა მას ისტორიული უკვდავება და საფუძლად დაედვა ერის ცხოვრებაში ისეთ დიდ მოვლენას, როგორც არის — დამოუკიდებლობის აქტი —, მაგრამ «საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი»-ს ამ შეცდომას მომავალი არ მიიღებს და გაასწორებს. ამისდა მიუხედავად, სინამდვილეში ეს საფრთხე არსებობდა. საქირო იყო საჩქაროდ შემდგარი შეიარაღებული ნაწილები, — სულ ერთია იქნებოდა ეს წითელი თუ ლურჯი გვარდია, რომელიც მას ქ ეყანას ააცდენდა. ამისთვის პირველ მომენტში გვარდიის არსებობა საქირო და პირდაპირ ნაკარნახევი იყო არსებული მდგომარეობის აუცილებლობიდან. შეცდომა ის კი არ იყო, რომ ის არსებობდა, — შეცდომა იყო ის, რომ გვარდიას თავიდანვე მიეცა პოლიტიკური სახე და ამ მოვლენამ შეუძლებლად მკაცრ თავის დროზე მისი ლიკვიდაცია და, ამგვარად, სისიკვდილო მუწუკად შერჩა საქართველოს ტანზე, სანამ თან არ გადაიტანა ის.



რომ გვარდია სახელმწიფო საზღვრების დაცვისათვის უვარგისი იყო, არსებობდა ამის შეგნება. აქედან გადაწყვეტილება: — და თანაბრად დაარსდა ჯარიც.

ამნაირად არსებობდა გვარდია და ჯარი, რომელნიც საბრძოლო ვარგისობის მიხედვით, ერთი მეორეზე უარესი იყვნენ და სამხედრო ორგანიზაციის ეს ორმუცლიანი სისტემა დამბლას სცემდა საქართველოს თავდაცვის შეიარაღებულ ძალას.

ამ პირობათა გამო საქართველოში ვერ შეიქნა ნამდვილი ჯარი და ეს იყო 1921 წ. საქართველოს დაღუპვის პირელი და უმთავრესი მიზეზი.

ამ ვითარების გამო, სამი წლის დამოუკიდებლად არსებობის დროს საქართველო მუდამ საფრთხეში იმყოფებოდა, მაგრამ მწარე გამოცდა მას 1921 წ. მოელოდა.

უკვე გამოქვეყნებულ ცნობათა მიხედვით, როდესაც «ბოლშევიკების» საგარეო საქმეთა მინისტრმა «იმპერიალიტებთან» წინადაგი მოამზადა საქართველოს დაპყრობისათვის, კრემლმა გადასწყვიტა დაეწყო მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებანი. ეს არ დარჩენილა საიდუმლოებად.

თავის დროზე ტფილისის გენერალურ შტაბს ხელში ჩაუვარდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ისაზღვრებოდა დრო, თუ როდის მოხდებოდა რუსების შემოსევა საქართველოში. მიუხედავად ამასა, გამოცხადდა დემობილიზაცია და გადაღებულ იქნა 1920 წ. სექტემბერში დანიშნული ახალგაზდა ჯარისკაცების წვევა. ეს იყო მეორე და მორიგი შეცდომა, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა ტფილისის დაღუპვაში.

შეიძლება დასახელებულ იქნეს მთელი რიგი სხვა შეცდომათა და მათ შორის ისიც, რომ; — თებერვლის 11—12 ღამით მტერმა მოსპოვორონცოვკაში ჩვენი ჯარი. ეს არის შეცდომა წმინდა სამხედრო ხასიათის, მაგრამ არა სრულიად; ვინაიდან უკვე შემდეგ, სტამბულში, როდესაც ღენ. ოდიშელიძეზე მიიტანეს იერიშები, მან უპასუხა: — თუ ასეთი გლახა ვიყავი, რა ადგილით ფიქრობდით თქვენ, როდესაც მე დამნიშნეთ მთავარსარდლათ-ო.

შეიძლება ის მართალიც იყო!

ვორონცოვკის ტრალედიის შემდეგ, ტფილისის დაცვის საკითხი გადაწყვეტილი იყო; მტერს რომ ზედმიწევნით სცოდნოდა ბრძოლის ველი, მეორე—მესამე დღესვე შემოვიდოდა სამგზავრო წყობით ტფილისს ქუჩებზე.

16 თებერვალს მოუხალვდა ტფილისის რუსების მეტერთმეტე არმია; ამ მომენტში დაინიშნა მთავარსარდალად ლენ. კვინიჩაძე. ის გავიდა დედა-ქალაქის წინ იმ მიპართულუბით, საიდანაც მტერი მოძრაობდა უცნაური შემთხვევა: — მთავარსარდალი მიდის ფრონტზე მაშინ, როდესაც ფრონტი არ არსებობს. ტფილისის თავმჯდომარე უნდა შეხვედროდა იმ მტერს, რომლის უხეში ძალა, ზიზილი და შურისძიება აღჩობდა მას მთელი ასი წლის განმავლობაში. მაგრამ მთავარსარდალის ნიჰმა, ნებისყოფამ და ენერგიამ, სამხედრო სკოლამ, ქართული არტილერიის შესანიშნავმა მოქმედებამ, ჯარისა და გვარდიის მდგარ ოფიცრების თავის განწირვამ შექმნეს ტფილისის ბრძოლების დიდებული პერიოდი.

ტფილისის დაპყრობის ენით გაგიყებული და კომუნისტური პროპაგანდით ანთებული წითლები გააფთრებით ეკვეთენ გამაგრებულ ადგილებს. ისინი კბილებ-დაღრუპენილი მოდიოლენ სიკვდილზე, რომ თავისი მიზანი განხორციელებიათ, მაგრამ ვერც ერთი სტრატეგიული პუნქტი ვერ აიღეს; სადაც ხელთ ჩაუვარდათ მნიშვნელოვანი პოზიციები, იქ ვერ გამაგრდენ და ქართული ნაწილების პირველ დაკვრისთანავე გაიქცენ. ქართულმა ჯარმა აჯობა რუსებს ყოველ ბრძოლაში; შვიდი დღის განმავლობაში გათამაშებული ყველა ბრძოლა მოიგო ისეთი გმირობით, რომლის მზგავსი არ ახსოვს საქართველოს 1795 წლის შემდეგ.

24 თებერვალ საღამოს სახე-მიღეწილი მტერი უკუგდებულ იქნა მთელ ფრონტზე, გალახული ცხოველივით იბრუნა პირი და დაიხია უკან.

სწორედ ამ მომენტში, როდესაც ჯარს მოგებული ჰქონდა ტაქტიკურად წინა ბრძოლები, და ოცდაათხი თებერვლის გადამწყვეტ შეტაკებიდან გამარჯვებული გამოვიდა; როდესაც ჩვენი საკუთარი ფრონტის მთელ სიგრძეზე მდგომარეობა აღდგენილა იყო და მაგრად მიბეგვილი მტერი გაიქცა, სწორედ ამ მომენტში — თებერვლის ოცდაათხს, ღამის თორმეტ საათზე, მთავარსარდალმა უბრძანა თავის გამარჯვებულ ჯარს უკან დაეხია და გამარჯვებული ტფილისი გადასცა მტერს.

რა იყო ამის მიზეზი?

მომავალი ისტორიკოსი მეცნიერული მეთოდით განიხილავს საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას, იმ დროინდელ პიროვნებათა ფსიქოლოგიას და მამოქმედებელ მოტივებს, ადადგენს ტფილისის ბრძოლების სურათს და გამოიტანს ჭეშმარიტ განაჩენს; და მაშინ ცხადი შეიქნება, რომ 1921 წ. 21 თებერვალ საღამოს, მთავარსარდალს უნდა ჰქონოდა ღრმა ინტუიცია, დიდი მხედრული ალღა და გაჰქრიახი ცნობიერება, რომ, როდესაც იგი გამარჯვების მწვერულზე იდგა, წამოსულიყო ჯარით ტფილისიდან.

საქმე ის არის, რომ ტფილისთან მომქმედი რუსების არმია სტრატეგიულ, გეოგრაფიულ და პოლიტიკურმა პირობებმა ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მხოლოდ ორი გზა დარჩენოდა: — ან უნდა ხელში ჩაეგდო მას ტფილისი, ან უნდა განადგურებულიყო; მესამე გამოსავალი მისთვის არ არსებობდა. მან დაიწყო ბრძოლა ბრძოლის მოვების იმედით და შვიდი დღის განმავლობაში დიდის ენერგიით მოჰქონდა იერიშები გამაგრებულ ტფილისზე, სრულიად დაიმედებული, რომ მიზანს მი-აღწევდა; მაგრამ ვერ შესძლო; მისი ჟინი გასტეხა ქართველების წინააღ-მდეგობამ; მან წააგო ყველა ბრძოლა და ბოლოს უტია ბრძოლის ველს. დამარცხდა თუ არა? — დამარცხდა.

დამარცხდა, ვინაიდან ვერ შესძლო თავისი ნება და ჟინი თავზე მოეხვია და მიეღებინებია ქართული სარდლობისათვის. ამ მხრივ დამარცხდა. მაგრამ მისი ცოცხალი ძალა მოსპობილი არ იქნა და ამ გარემოებამ საშუალება მისცა მტერს შემდეგი მოქმედებისათვის, რომ დამარცხებულს გამარჯვების პალმა კვლავ მოეპოვებია.

რატომ ვერ გამოიყენა ქართულმა სარდლობამ თავისი გამარჯვებანი და არ მოსპო დამარცხებული მტრის ცოცხალი ძალა?

აი, მთელი სიდიდით აქ წამოიჭრენ ის შეცდომები, რომელნიც ზემოდ იყვენ დასახელებული. ტფილისის წინ არსებობდა მხოლოდ დამცველი ფრონტი და გარეშე ამისა მთ.სარდალს მაშველში არ ყავდა არც ერთი ნაწილი, რომლითაც სასიკვდილო მახვილს ჩასცემდა დამარცხებულ მტერს და მოსპობდა მას. ამ მიზეზის გამო მთავარსარდალს დარჩენოდა მხოლოდ გაეტეხა მტრის აქტივობა, ინიციატივა და ასეთი გეგმით ეწარმოებინა თავდაცვა. ასეთ პირობებში კი ფიქრიც არ შეიძლებოდა მტრის ფიზიკური ძალების განადგურებაზე.

ამგვარად: რუსების სარდალს ხელთ შერჩა ძალა, თუმცა მეტად შეფერთხილი, მაგრამ რომელსაც იგი მოიყვანდა წესრიგში შემდეგი ბრძოლისათვის; ბრძოლა კი უნდა ეწარმოებინა უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

ვინაიდან წინა ბრძოლები დამთავრდა მისი მარცხით, აშკარა იყო, მას უნდა შეეცკალა მო მედების გეგმა. მით უმეტეს, ტფილისის ლენერალურ შტაბში მომხდარ ცნობილ ინციდენტის მიხედვით, მტერმა შესანიშნავად იცოდა, რომ ტფილისს უნდა ჰქონოდა სუსტი ადგილები. და სწორედ 24 თებერვალ ღამეს, ფრონტის მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე მან გამოგზავნა ცხენოსანთა მხვერავი თარშები, რომელნიც უკვე 25ს გამთენიისას შემოვიდნენ ავჭალაში და დიღომის ველზე, და თავს ესხმოდნენ უკანმსვლელ ჩვენს ჯარებს.

მაშასადამე, იმ დილას მტერმა უკვე აღმოაჩინა ტფილისის სუსტი ადგილები; ამის შემდეგ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, ბრძოლის წარმობის მეთოდების მიხედვით, 27 თებერვლამდე მტერი დაარტყამდა თავისი ქვეითი ჯარით ამ დაუფარავ ადგილებს და ქართველი მთავარსარდალი თავისი ჯარით ტფილისთან ერთად აღმოჩნდებოდა მტრის ხელში.

ასეთი იყო მდგომარეობა 1921 წ. 24 თებერვალ საღამოს, როდესაც ტფილისის სარდალი დიდი რეალიზმით მივიდა სინამდვილესთან, სიზუსტით დაუსვა დიაგნოზი და გამოარკვია მდგომარეობა, რის შემდეგ რჩებოდა მხოლოდ არჩევანი: — ან დაღუპვა, ან ტფილისის დატოვება — სამშობლოს შუაგულში შემოსვლა და ბრძოლის წარმოება. არჩევისათვის არ იყო დიდი ნიჭი საჭირო. 24 თებერვალ ღამის 18 საათზე ქართულმა ჯარმა დასტოვა დედა-ქალაქი.

ვინ იცის! რა გულდაწყვეტილი გრძნობებით იგონებდა ის მაშინ თავის გამარჯვებულ ბრძოლებს...

ამგვარად: ტფილისის დატოვება არ გამომდინარეობს ქართული ჯარის მარცხიდან; ის არ იყო სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომების შედეგი; ქალაქის დატოვება შეიქნა აუცილებელი იმ პირობათა გამო, რომელნიც დამყარდნ უკანანასკნელ წუთს.

და თუ ტფილისის დამარცხებამ მთელი საქართველო დაამარცხა, ერთისა და მეორეს მარცხი მზადდებოდა სამი წლის განმავლობაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ო ლ გ ო თ ა

(დასასრული)

ბოლშევიკებმა კარგად იციან, რომ მათი ძალაუფლება დამყარებულია მხოლოდ წითელარმიელთა ხიშტებზე, რომ მათი ნება, მათი ავტორიტეტი დამოკიდებულია ტერორზე, რომელმაც გაუგონარი მსხვერპლი შეიწირა უვიცი და ველური რუსი-მუჟიკის ქვეყანაში.

იმ დროს, როდესაც რუსეთში განაგებს უმაღლესი პოლიტიკური მართველობა (გ. პ. უ.), საქართველოში — ტერორისტული გამგებლობა — «ჩეკა» მძვინვარებს. მიუხედავად მრავალი და მრავალი მსხვერპლისა, რაც საქართველომ გაიღო დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ის მაინც არ კარგავს რწმენას, რომ ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებს და ვერავითარი შევიწროება ვერ შეაჩერებს მის ლტოლვას დამოუკიდებლობისაკენ.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც 28 აგვისტოს 1924 წელს, — ნაწამები საქართველო, განმარტოვებული, მივიწყებული მთელი ქვეყნიერების მიერ, აღუდგა მტარვალებს.

მართალია, აჯანყება დაამარცხა რუსის წითელ არმიამ; მართალია, საქართველომ შესწირა ათიათასი თავისი შვილი, მაგრამ ამ აჯანყებამ ნათელჰყო მთელი ქვეყნიერებისათვის, თუ რამდენი სიძულვილი აქვს ქართველ ხალხს, რამდენად მიუღებელია ქართველთათვის ეს უცხი ძალმომრეობა. მთელი ქვეყანა გახდა მოწმედ პატარა საქართველოს ბრძოლისა დიდი ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ.

ექვს გარეშეა, 28 აგვისტო ჩაიწერება ქართველი ერის ისტორიაში როგორც ერთ-ერთი უღამაზესი ისტორიული აქტი.

ვინაიდან მე ვიყავი აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე, ვმხელმძღვანელობდი აჯანყებას კახეთში, უნდა შევჩერდე იმ მიზეზებზე, რომელთაც გამოიწიეს ქართველი ხალხის დაპირისპირება ცბიერ და ასჯერ უფრო რიცხოვან მტერთან.



პირველად ყოვლისა, ქართველი ერი ვერ შეურიგდა დამოუკიდებლობის დაკარგვას, — არ შეეძლო მოეხარა ქედი საბჭოთა დესპოტიური რეჟიმის წინაშე; მისი ერთეული გრძნობა ვერ იგუებდა იმ ცინიზმს და ინტერნაციონალიზმს, რომელიც თანმოიტანეს კრემლის მესვეურებმა.

დახვრეტა, სომეხთა და ოსების მიერ ჩვენი მიწაწყლის დარბევა, ეკლესიათა გაუქმება და საეკლესიო სიმდიდრეთა მითვისება, საშინელი პოლიტიკური დენა, საშიშროება თვით ერის არსებობისათვის — აი რამ გამოიწვია საქართველოს აჯანყება.

თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველი ერის კულტურულ დონეს, ისტორიულად ბიზანტიურ კულტურასთან დაკავშირებით, უსათუოდ ეს კულტურა უფრო განვითარებული და გადრმევებულია ვინემ რუსის ერს ეს აქვს, რომლის უგულობა და ველური მიდრეკილება აშკარად გადაიშალა ბოლშევიკურ ანარქიაში. აქედან ადვილი მისახვედრია, თუ რისთვის არ იგრებს ქართველი ერი საბჭოებს. ჩვენი ერთეული ცხოვრების ერთ-ერთ უძნელეს პერიოდში, როდესაც საქართველოს ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა დასავლეთით, ენერ ფაშას გამარჯვებული არმია და ჩრდილოეთით, ლენინის ბოლშევიკური ბანდები, ამ უკანასკნელის ემისარებმა ვერ ჰპოვეს მომხრენი ქართველ ხალხში. ქართველ ჯარისკაცს სამხედრო სამსახური ესმის როგორც მამულის სამსახური.

ბიზანტიურ კულტურამ, ქრისტეს სარწმუნოებამ, კერძო საკუთრების გრძნობამ ქართველებს ასწავლა კულტურისა და ცივილიზაციის პატივისცემა.

მაშინ, როდესაც 1917 წელში რუსეთი ლენინის ბრძანებით მივიდა ეკონომიურ დაქვემდებარებაში და სამარცხენო ბრესტ-ლიტოვსკის ხავამდე, როდესაც რუსის გლეხებმა არ დაინდგეს არც მესაკუთრეთა სიცოცხლე, არც ჯიშინი პირუტყვი, — მკვლელობითა და რბევით გაბოროტებულნი მივიდნენ კაციკუპინობამდე, — ამ დროს ქართველი გლეხი, ასეთ ქართველში, გამოვიდა წესიერების და კანონიერების დამცველად.

ქართველი ხალხის ბუნებამ, მის მიერ კანონისა და მოვალეობის შემეცნებამ, მისმა გონებრივ დონემ, — ერთი სიტყვით, მან, რაც არის შედეგი ცივილიზაციისა, უარპყო ბარბაროსული მეთოდები კომუნიზმის მქადაგებელთა.

უკვე 1924 წლის საერთო აჯანყებამდე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ხდებოდა ნაწილობრივი აჯანყებები. ეს სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილებში წარმოებულნი აჯანყებანი ნათელპყოფდნენ, რომ ქართველი ერი ვერ ურიგდებოდა უცხო მართველობას და რომ ბოლოს და ბოლოს ეს იქცეოდა მთელი ერის აჯანყებად.

ჯერ აჯანყდა დუშეთის ოლქი შეუპოვარი პოლკოვნიკ ქ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით.

ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება იმ ქამად მიპყრობილი იყო ოსმალეთზე, სადაც ქემალ ფაშას ჯარი, საბერძნეთის დამარცხების შემდეგ, მიიწვედა სტამბულისაკენ, რომელიც მოკავშირეებს ეჭირათ.

საქ. პარტიათა კომიტეტმა უბრძანა პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილს აჯანყების ლიკვიდაცია, ვინაიდან კომიტეტის აზრით, პოლიტიკური მდგომარეობა წინასწარ სწირავდა აჯანყებას. პატრიოტული მოსაზრებებით, პოლკ. ჩოლოყაშვილმა მიმართა გლეხებს შინ დაბურნებისათვის და ლოდინი უკეთესი მომენტისათვის. პოლკოვნიკს უნდა ენანა ეს შემდეგში— ვინაიდან იმ რეპრესიებმა, რაც მოჰყვა დუშეთის გამოსვლას, მეტი შეიწირა, ვინემ ბრძოლა რომ გაგრძელებულიყო—

ყოველ სოფელში აჯანყებულნი და ისეთნიც, ვისაც არავითარი მონაწილეობა არ მიეღო აჯანყებაში, დაამწყვდიეს საჯინიბოებში, რომელთაც ცეცხლს უკიდებდნენ. ქალები, ბავშვები, ახლო ნათესავები იმ უბედურთა, ვინც კი ეცდებოდა მიშველებას, განგირული ეცემოდნენ.

ობოლახის და თალაქვადის გულქვაობა, რომელნიც ხელხმდვანელობდნენ ამ საშინელ ოპერაციებს, სწარბობს კარრიეს, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს გლეხებს ჰყრიდა ლუარაში!

დუშეთის ჩაჩუმების შემდეგ აჯანყდა გურია. ეს იყო 1923 წლის დასაწყისში. ცხადია, დუშეთის მაგალითის შემდეგ, გურულები მოიქცეოდნენ ისე, რომ მათ გამოსვლას არ მოჰყოლოდა იგივე, რაც დუშეთში, — სრული დარბევა და განადგურება. ისინი დაკმაყოფილდნენ მოსკოველების წინამდებ მიმართული დემონსტრაციით. ეს დემონსტრაცია არ მოეწონათ მოსკოველებს და გაგზავნეს გურიაში, ცნობილი ობოლახე და თალაქვადე წესრიგის აღსადგენად, თუმცა დემონსტრაციის დროს არსად წესრიგი დარღვეული არ ყოფილა. ათასზე მეტი გლეხი დაეცა ამ მტარვალთა ტყვიით.

ხშირად ხდება, რომ უსამართლობა და ბარბაროსული მეთოდები, რეპრესიები და ტერორი მასებში — იწვევს მგრძობიარე და მაგარი ხასიათის მქონე პიროვნებაში რეაქციას. უსამართლობის წინამდებ ამხედრებული ის შეებმის მჩაგვრელთ. გურიაში იპოვა ასეთი შურისძიებელი თავის შვილთა შორის — გოგი ლლონტი, რომელმაც მოჰკლა საოკუპაციო ჯარის უფროსი ობოლახე. (გოგი ლლონტი გარდაიცვალა 1929 წლის დამლევს ქ. ლიონში, საფრანგეთში)

აუცილებელი გახდა შეკავშირება ყველა ძალებისა და პარტიათა კონიტეტს, რომელსაც ეწოდებოდა «დამკომი» ანუ «დამოუკიდებ-

ლობის კომიტეტი» და რომელიც შესდგებოდა ყველა პარტიებში მოღვაწეებისაგან, მიენდო მოქმედების გეგმის გამომუშავება. ამ კომიტეტის ხელში იყო მთელი ერის ბედილბალი.

კომიტეტი, როგორც ეს გამოიჩვენა გასამართლების დროს, აღმოჩნდა თავის სიმალლესზე. იცოდა რა ბოლშევიკების ვითარება, მათ შესძლეს საიდუმლოების დაცვა ისე, რომ მთელი ერის აჯანყება, როგორც მეხი ისე დაეცა ბოლშევიკურ მეთაურებს თავზე მოულოდნელად. უკანასკნელნი ისე დაიბნენ, რომ უკვე აგზავნიდნ თავის ოჯახებს საიმედო ადგილებში.

სიკვდილის დაურიდებლად, აჯანყებულნი ეცნენ მნიშვნელოვან ადგილებს და პრავინციებში მათ ხელთჩაუვარდათმთელი ხელისუფლება.

პატრიოტული აღმაფრენა, ენტუზიაზმი, სიმართლე, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ, ამტკიცებდა მათ სიმხნევებს. მაგრამ რიცხობრივ მცირე — აჯანყებულნი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

აჯანყების გეგმა იყო შემდეგი:

ტფილისის ხელში ჩაგდება, სადაც დაგროვილი იყო წითელი არმიის მთელი ძალა, ძნელი საქმე იქნებოდა. მაგრამ ქართველობამ გულადობითა და უსათუო გამარჯვების სურვილით გატაცებულმა, გადაწყვიტა ტფილისის აღება პრავინციებში გამარჯვების შემდეგ.

აჯანყებულნი უნდა მისდგომოდნ ტფილისის სამი მხრიდან : — კოჯორიდან მოდიოდა პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით; საწინაღმდეგო მხარედან უნდა გამოვსულიყავი მე და პოლკ. ჩოლოყაშვილთან შეერთების შემდეგ, ორივენი ტფილისზე მივიდიოდით.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას, დუშეთისას, იქ მეთაურობს გლეხი ლასხარაშვილი.

ყველაზე ძნელი ამოცანა მე მერგო. უნდა ამელო, ტფილისიდან ოცდახუთი ვერსის მანძილზე დაცილებული ვაზიანის პოლიგონი, სადაც იდგა წითელი ჯარი 98 ზარბაზნით.

ასეთი გეგმა შემცდარი და მიუღებელი იყო.

აჯანყების მომწყობთ არ გაუთვალისწინებიათ ტფილისის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა; — საქართველო უპყრია მას, ვინაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისათვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისზე, კომუნისტურ ძალთა სიმაგრეზე

ტფილისის აღებისას, წითელი არმია მოკლებული ცენტრალურ მართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულებს.

მაშინ, როდესაც პირველი გეგმის მიხედვით, ჩვენი ძალები, დაქსაქსულნი მთელ მხარეში, ვერ შეიკრიბენ თავის დროზე, ჩვენ დავმარცხდით ძალიან უსწოროდ ბრძოლაში.

მეორე მიზეზი ჩვენი დამარცხებისა იყო ჭიათურის დასწრებული გამოსვლა — დანიშნულ დროზე 24 საათით ადრე.

აჯანყებულ გლეხთა და მუშათა წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა დაამტკიცა ერთჯერ კიდევ, რომ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება არ არის მუშათა და გლეხთა წარმომადგენელი, არამედ წინააღმდეგ: — ისინი არიან ჯალათები, დამახრჩობელი და მკვლელი სწორედ მუშებისა და გლეხებისა.

ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ საშვალემა მისცა საბჭოთა უფროსებს დროზე მიეღოთ ენერგიული ზომები აჯანყების ჩასაქრობად.

მთელ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები.

უმთავრესი ჩემი დავალება ესე იგი ვაზიანში მყოფ წითლების განიარაღება ვერ მოვიყვანე სისრულეში. მე ვცოცმანობდი იმ ბრძოლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლის შედეგი იქნებოდა ტყუილ-უბრალოდ ჩემი ხალხის სამსხვერპლოზე მიტანა.

ჩემს განკარგულებაში მყავდა სამასი გლეხი, ყოჩაღნი და ამაყნი, რომელთა საშვალეებით შესაძლებელია სხვა ვინმე შესძლებდა სასწაული მოეხდინა და გმირობა გამოეჩინა, მაგრამ აღვნიარებ, რომ მე ვერ გავამართლე პარტიათა კომიტეტის ჩემზე დამყარებული იმედები, რადგან მას ჰქონდა უფლება მოეთხოვა ჩემგან სასწაული. დიახ, ჩემს სამშობლოს ჰქონდა ბევრი შემთხვევა ჩემი ნერვების და ცდისა: ბათომი, სადახლო, ნოია — სადაც მტრის ტყვიით დაჭრილი მაინც განვაგრძობდი ჩემ ადგილას ყოფნას და როდესაც ვამბობ: ჭიათურის ნაადრევმა გამოსვლამ შემიშალა ხელითქო, ამით არ ვიმართლებ თავს. ვინაიდან შესაძლებელია მაკლდა რევოლუციონური აღმაფრენა, მე ვიმოქმედე იმ ღამეს როგორც პატიოსან ჯარისკაცმა, როგორც მხედარმა.

ჩემი ხენეშა ჩვენი ერის ვერ გამოეპარებოდა ჩემს აგენტებს. ისინი გრძნობდნენ საშიშროებას, მაგრამ ხალხის ჯავრის აღმოხეტის დღისა და საათის უცოდინარობა, და აგრეთვე ჩვენი ძალების უცოდინარობა მათ აღელვებდა და ფრთხილად ყოფნას აიძულებდა.

ჭიათურის გამოსვლამ დაუბრუნა სიმშვიდე მესვეურთ და მისცა საშვალემა მოქმედებისა უკვე გარკვეულ პირობებში. მაშინვე გამოცხადდა სამხედრო წესები, ქალაქი გამაგრებულ იქნა, ტანკები და ჯავშნოსანი ავტომობილები გამოჩნდნენ ქუჩებზე. 30.000 კაციისაგან შემდგარმა არმიამ მიიღო ბრძანება ქალაქის დაცვისა. ბატარეებიც მოეწყო სამარ მდგომარეობაში.

ჩემი შტაბი იმყოფებოდა პატარძელში. ვაზიანის კომისარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გამოვსულიყავი დანიშნულ დროის თორმეტი საათით უფრო ადრე. რადგან სამხედრო წესი გამოცხადდა და ჩვენი მოულოდნელ თავდასხმას წვედლო გამოწვია არც და რევამოწინააღმდეგეებში. დავთანხმდი ამ წინადადებაზე და საღამოს შვიდ საათზე თორმეტსთფელში ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენს ხელში — კომუნისტების უფროსობა იქნა დატუსაღებული — ადგილი არ ჰქონია არც ერთ უსამართლობას მათ მიმართ.

ჩვენი პროგრამის პირველი ნაწილი ჩინებულად შევასრულეთ. დაგვრჩა მეორე — უფრო ძნელი და უფრო თავაღებული ნაბიჯის გადადგმა: — უნდა წავსულიყავით ტფილისზე. საჭირო იყო მთელი არტილერიის ხელში ჩაგდება. ჩვენ ვუახლოვდებოდით მტრის ბანაკს, როდესაც ჩვენი სვლა შენიშნა მტერმა პროექტორების საშუალებით. ბატარეიდან ათი კილომეტრის მანძილზე ავუტეხეთ სროლა უკანა მცველებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ მომენტში მაცნობეს მტრის კავალერიის სამი პოლკის ჩვენსკენ გამომგზავრება, წითლების გასაძლიერებლად.

მდგომარეობა გართულდა. ტყვიაწამალი გვითავდებოდა. იძულებული ვიყავი ჩემიანებისათვის უკანდახვევა მებრძანებია და ღამის სიბნელის გამოყენებით ტყეში შევიხიზნეთ. მაგრამ გვიანდა იყო.

ამავე მიზეზების გამო ე. ი. ამდაგვარადვე შექმნილი მდგომარეობის გამო, ჩოლოყაშვილი, მას შემდეგ რაც აიღო მანგლისი, იძულებული გახდა დაეხია კოჯორთან.

ამნაირად, ჭიათურის გამოსვლამ არ მოგვცა საშუალება მტრის მოულოდნელად ჩაჭერისა და მისი დამარცხებისა.

ტფილისის აღება არ გამართლდა და ამით პარტიზანელების მოქმედებანი ხდებოდენ იზოლატორულად, ხშირად ძალიან ღამაზი დარტყმით, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო პროვინციის გამარჯვება, სანამ ტფილისი მტრის ხელშია, ამ გამარჯვებას დამარცხება ელის საბოლოოდ.

მთელი ერის საერთო აჯანყება ჩაქრობილ იქნა საშინელ სისასტიკით. საქართველო განიბანა თავისივე სისხლში. შურს იძიებდენ იმ ერზე, რომელმაც გაბედა და შეეცადა მონობის უღელის გადაგდება და რომელსაც სწადდა დამოუკიდებლობის აღდგენა.

პო ლ კ . ი რ . ც ა გ უ რ ი ა

ო მ ი მ ა რ ო კ ო შ ი

ამ სათაურით მსოფს გავაცნო ქართულ მხედრობას მაროკოში ომის წარმოების ზოგადი ხასიათი და აღვნიშნო ამ ქვეყნის ლატაკი ბუნების მიერ შექმნილი ზოგიერთი განსაკუთრებული პირობები.

არ შევუდგები აქ მაროკოში ბრძოლების დაწვრილებითი განხილვას და არც ტაქტიკურის მხრივ მათ შესწავლას. მხოლოდ აღვნიშნავ ზოგიერთ ფაქტებს, რომელნიც ჩემი აზრით, არიან ყურადღების ღირსნი ჩვენთვის, ქართველი მხედრებისთვის.

სასურველია ამ წერილმა გამოიწვიოს ქართველ მხედრებში ერთგვარი მსჯელობა და შედარება მაროკოსა და რომელიმე სხვა ქვეყანაში ომის წარმოების პირობათა.

მაროკოში ომი არ არის ისე საშიში და სისხლის მღვრელა რა გორც ევროპული ომი; მაგრამ პირველი სწარმოებს გაცილებით უფრო მძიმე პირობებში ვიდრე მეორე.

აქ მტრის სამომარი საშვალეა ძალიან სუსტი და მცირეა, მაგრამ თვით ბუნება ამ ქვეყნისა, მისი ჰავა, უგზობობა და უწყობობა ჰლლის და აკისრებს მომქმედ ჯარს ბევრად უფრო მძიმე პირობებს ვიდრე ევროპული ომი.

ომის წარმოების მთავარი პრინციპები ერთი და იგივენი არიან როგორც ევროპაში ისე მაროკოში; მხოლოდ ბრძოლების ხასიათი და მათი მსვლელობა სრულიად განსხვავდებიან ევროპულ ასპარეზზე მოქმედებათაგან; ამ დამახასიათებელი მხარეთა შესწავლა უცილოდ საჭიროა ყოველგვარ მოულოდნელობის შეცდომათა თავიდან ასაცილებლად.

ბრძოლის ველები, რომელზედაც უხდება მოქმედება მაროკოს ჯარს სხვა და სხვა სახისაა. ზოგჯერ ეს არის მთა, როგორც რიფფი, ატლასი ან ტანას მიდამოები. ზოგჯერ კი უდაბნო, როგორც დაფილალეტის გარშემო და მავრიტანიის საზღვრები.

მაროკოს მთები მეტად მიუდგომელნი და ოღრთ-ჩოღრთნი არიან, ხეები სალი კლდეები, ვიწრო ხეობანი და მიუდგომელი უღელტეხილები მრავალია.

წყალი მით უფრო ცოტაა, რამდენათაც ზაფხული დაწინაურებულია. ბილიკები იშვიათია და ძლიერ სახიფათონი. მიუღვამელი მთები, ძნელად გამოსაყენებელი გზა-წვირილები, ძალიან ცოტა წყალი და თუ დავუმატებთ საშინელ სიცხეს, მიიღებთ იმ ასპარეზის სურათს, რომელზედაც უხდება მოქმედება მარკოვს ჯარს.

1922 წლის საბრძოლო მოქმედებისათვის აზილალისა და უაუინერტის მიდამოებში სიცხეების გამო ყოველი მოძრაობა ჯარის შესაკრებად ხდებოდა ღამის ორი საათიდან დილის რვა საათამდე, მიუხედავად იმისა, რომ მომქმედი ჯარი შესდგებოდა მხოლოდ ძველ და გამოცდილ ლეგიონერთა და მარკოველ მსროლელთა ნაწილებისაგან.

არის ისეთი კუთხეებიც, როგორც მაგ. ტაფილატეტი და მავრიტანია, სადაც მრავალრიცხოვანი ჯარის მოქმედება შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ორი ან სამი თვის განმავლობაში, ზამთრიდან გაზაფხულამდე. მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილეა საჭირო. მოულოდნელად მოსკდება ნიაღვარი; პაწაწინა მდინარე, რომელიც თითქმის დამშრალი იყო ერთი დღის წინად, აღიდგება და როგორც ეს მოხდა 1924 წელს, ზიზის მთელი ხეობა კსაინ-ესსუკ და ერფუდ შორის რჩება წყალქვეშ.

ნიაღვარმა დაანგრია მოსახლეობა, წალეკა მოსავალი, დაახრჩო ნახირი და გაანადგურა მიდამო, მიუხედავად იმისა, რომ ამ მდინარის ორივე ნაპირიდან მხოლოდ ხუთასი ფეხის ნაბიჯზე იშლება უდაბნო, უდაბნო ქვიშიანი და თვალმიუწოდებელი სივრცისა, სადაც ერთ მცენარესაც კი ვერ დაინახავთ.

ბილიკი მიიკლავნება ცის კიდემდე და გგონიათ, რომ ველი ვრცელი და სწორია, უცებ წაწყდებით ხრამს, რომლის კლდეებს უკან და გვირაბებში ჩასაფრებულნი გელოდებიან «ჯიშები», (ავაზაკები, მებრძოლთა ჯგუფი).

აი ასეთია მოქმედების ასპარეზი და მისი ბუნება. ვნახოთ ესლა მომქმედი ძალები.

ერთის მხრივ — მრავალრიცხოვანი ნაწილები, სხვა და სხვა გვარ იარაღთა ჯარების, კარგად შეიარაღებული, მაგრამ ნაკლებ გავარჯიშებული და არასაკმაოდ გაწოტნილი. მეორე მხრივ — «თემები» ასე თუ ისე უძლური, ხშირად ერთმანეთის მეტოქენი, მაგრამ შეერთებულნი თავისუფლების სიყვარულით და უცხოელის ზიზით; რომელთაც გამოჰყავთ ბრძოლის ველზე თითქმის მხოლოდ ქვეითი მებრძოლნი, კარგად შეიარაღებულნი და გასაოცარნი გამბედაობით, გამძლეობით და მოძრაობის უნარით.

პირველთა ძალას წარმოადგენს მათი მასსა, მათი მოქმედებთა ურთიერთ შეფარდების უნარი და იარაღთა გვარობის ერთმანეთთან კავშირი. მაგრამ ამათ აკლიათ სიმსუბუქე და ამტანობა-გამძლეობა.

მარკოში ჯარისკაცი დადის და მოქმედებს თავის ბარგითურთ, რომელიც აღემატება ოც კილოგრამს. თვითულ ათასეულს უკან მისდევს ასოცდაათი დატვირთული ჯორი. თვითულ ოფიცერს მიაქვს თავისი კარავი, ლოგინი, სკივრი, მაგიდა და სხვა. ასეთი დატვირთულობის შედეგი ადვილად შესამჩნევია: — ან მოწინააღმდეგე იხევს და ჯარი იღლება დევნაში, ვინაიდან ვერ ეწევა მტერს; ან მტერი ჩნდება მოულოდნელად მის წინ, თავს ესხმის მას და ვიდრე საგზაო წყობიდან საბრძოლო წყობაზე გადავიდოდეს, ვერ იყენებს ვერც თავის ტყვიამფრქვევებს და ვერც ხარბაზნებს. ან კიდევ — მტერს უკავია ვრცელი ფრონტი, რომელზედაც ის გაფანტულია და ამ რიგად თითქმის ხელმიუწოდომელი და დაუხიანებელია. თვითონ კი დიდ ზიანს აყენებს, თუ თვით მებრძოლ ჯარს არა, რომელიც საბარგო წყობაშია, მის საბარგო ნაწილს მაინც და ყოველგვარ თავმოყრილ ჯარს.

მაშასადამე: უმთავრესი თვისება, რომელიც, მარკოში, ყოველ მოქმედ ჯარმა უნდა შეიძინოს, არის სიმსუბუქე და სწრაფი მოძრაობის უნარი. რასაკვირველია, ამ სიმსუბუქის მიღწევა ხდება ერთგვარი ფუფუნების (კომფორტის) შემცირებით ან მოსპობით, მაგრამ რაც უფრო ფიცხლად მიდიან სამხედრო მოქმედებანი, მით უფრო ახლო არის მისი ბოლოც.

ბრძოლაში მიმავალ ჯარს არ უნდა მისდევდეს ბარგი-ბარხანა, არც ოფიცერთათვის და არც ჯარისკაცთათვის. როგორც რაზმის უფროსს, აგრეთვე უნცროს ლიიტენანტს და უბრალო ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს თავის საკუთარი კარავი ან ფარაჯა და უნდა საზრდოობდენ იმ სანოვაგით, რომელსაც თან ატარებენ.

სატვირთი ჯორების რიცხვი თითქმის იგივე იქნება, მხოლოდ ბარგიბარხანის იდგილს იქერს ტყვიაწამალი და სათადარიგო სანოვაგე. ამ რიგად, შემსუბუქებულ ჯარს შეეძლება დღეში რვა-ათი საათი სიარული საზრდოს მოუთხოვნად (იგი თან აქვთ).

შედეგი ისაა, რომ მტერი იქნება დევნილი კვალდაკვალ; მტერი, რომელიც თვით აპირებდა თავდასხმას მოულოდნელოდ და თვითვე მოულოდნელად აწყდება მოწინააღმდეგეს, კარგავს სიმტკიცეს, იხევს სასწრაფოდ, სტოვებს სოფლებს, ბელლებს და ნახირს. ამრიგად სანოვაგის მობარაგების საკითხიც ნაწილობრივ მარტივდება. ამის მისაღწევად საჭიროა უფროსებისათვის გამბედაობა პასუხისმგებლობის აღების და კარგად გავარჯიშებული და გაწრთვნილი ჯარი.

მაროკოში მომქმედი ჯარი შეიცავს უმთავრესად მაროკოელ მსროლელთა ნაწილებს, ლეგიონს და სენეგალელ ჯარს.

საჭიროა თვითეულ მათგანის თვისებათა კარგად ცოდნა და მათი სათანადო პირობებში გამოყენება.

ავიღოთ შემდეგი მაგალითები: — საჭიროა სწრაფი სკლა და იერიში გაუმაგრებელ მტერზე; ამ შემთხვევაში, წინ უნდა გაიგზავნოს მაროკოელი მსროლელთა ნაწილები; საჭიროა მძიმედ და მეთოდითურად ბრძოლის ველის დაპყრობა, ან მოსალოდნელია მტრის მედგარი წინააღმდეგობა — მაშინ უნდა გაუშვათ წინ ლეგიონი. საჭიროა შორეული და ყოველგვარ კავშირს მოწყვეტილ სიმაგრეთა დაცვა.

მეციხიზენე ჯარად საუკეთესონი არიან სენეგალები.

რასაკვირველია, აქედან ვერ დავაკვნით, რომ მიზანშეწონილი იყოს ამ ნაწილების ერთმანეთში არევა, რათა ერთად შევადულოთ ყველა მათი თვისებანი. ეს იქნება დაღა შეცდომა, რადგან თვითეული მათგანი იჩენს თავის დამახასიათებელ თვისებათ, როდესაც ის იმყოფება თავის საკუთარ ჩვეულებრივ ელემენტში.

მაროკოში, იდეალურ დიდ საბრძოლო ერთეულს წარმოადგენს ბრიგადა, შემდგარი: — ერთი რაზმი ლეგიონისა და ერთი რაზმი მაროკოელ მსროლელთა, სამი სამთო ბატარეა (75 ან 105), ერთი გუმი (*) და პარტიზანთა (***) რამოდენიმე ასეული. ამ სახით შემდგარ ერთეულს შეუძლია ყოველგვარი დავალების შესრულება.

ენახთ ეხლა რას წარმოადგენს მოწინააღმდეგე ბანაკი.

მაროკოელთა «პარკა»(***) შესდგება 2000—2500 მებრძოლისაგან, რომელნიც იკრიბებიან ან გიაურთა წინსვლის შესახერებლად, ან დამორჩილებუ «თემების» გასაძარცვად.

ეს «პარკა» საცხოვრებლად და საბრძოლველად ძალიან ვრცელ მიდამოს იკავებს. თვით მებრძოლთ არ აბადიათ არავითარი სანოვავის მარაგი, გარდა ერთი ლავაშისა და ერთი ჩანთისა სამასამდე ვაზნით. მაშასადამე, «პარკა» საზრდოობს ადგილობრივი სანოვავით და რადგანაც ერთ სოფელს არ ძალუძს 2000—2500 სულის შენახვა, ამიტომაც «პარკა» იფანტება ახლო-მახლო სოფლებში, ხშირად ათი კილომეტრის სივრცეზე.

(*) ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი ნახევრად რეგულიარული ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ფრანგი ინსტრუქტორები; მის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს დაზვერვა. (***) ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი რაზმები, რომელნიც იბრძვიან ფრანგებთან ერთად. (***) აჯანყებულთა ძალა (ლაშქარი), რომლის რაოდენობა

ცვალებადი არის.

ჯარის სიახლოვისა და თვალყურის სადევნელად რჩებიან «დარაჯები», შემდგარი სუთი ან ექვსი კაცისაგან. თვითეული «დარაჯის» წინ 150—200 ნაბიჯზე სდგანან მცველები — «ასესს» (ასესები).

თუ ჯარმა დაიწყო შეტევა, ასესები სროლით ატყობინებენ სადარაჯოებს, რომელნიც ასესთა ხაზს საჩქაროდ იკავებენ. შემდეგ უახლოესი «ბერებიც» ჩაერევიან ბრძოლაში და მალე მთელი «პარკაც» ჩნდება ბრძოლის ხაზზე. ერთ საათში იკრიბება 2—6 კილომეტრზე გაფანტული «პარკა» და ბრძოლაში შედის. არავითარი რეგულიარული წყობა, არც თავის მოყრა. პატარ-პატარა ჯგუფები ირჩევენ თავიანთ ადგილს—სანგარს, კლდეს და თვითეული მებრძოლი იბრძვის ინდივიდუალურად, სიკვდილის წინაშე უშიშროებით და გასაოცარი გამბედაობით აღჭურვილი.

არ იფიქროთ, რომ საკმარისი იყოს ჯარის დაცვა მხოლოდ წინიდან და ფრთებზე. უნდა დაცულ იქნეს აუცილებლად ზურგიც, რადგან ხშირად, რომ სამი—ოთხი კაცი შეიპარება თითქმის ბატარეიამდე და სულ მოკლე მანძილზე მიზანში სროლით დიდ ზიანს აყენებს და ხშირად არტილერიის ცეცხლს აჩერებს ხელმე.

იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ მტერმა გაუძლოს ხიშტით შეტევას—იერიშს. ერთი მწყობრი იერიში უკუაქცევს ბევრად უფრო ძლიერ მტერს, რომელიც იერიშზე გადასვლამდე საუცხოვოდ იბრძოდა.

ამგვარ მოწინააღმდეგეთა მიმართ შეტევა და იერიში ყოველთვის გამარჯვებით მთავრდება. საშიშროება იწყება დასვენების ან საერთოდ გაჩერებისათნავე. და როგორც კი უკან დახევა საჭირო ხდება, მდგომარეობა ხშირად ტრალიული იქმნება. უმჯობესია ადგილობრივ დაბანაკება, თუნდაც უწყლო ადგილას, ვინემ გვიან უკან დაბრუნება, თუ არა გაქვთ ბევრი ტყვიაწამალი, რომ უნაგარიზოდ ხარჯოთ. რადგან მტერს — გამბედავს და გამძღეს — ერთი ნაკლი აქვს: — ის არ არის მტკიცესულგრძელი. როცა ბრძოლა ჭიანჭურდება, ვაზნები იხარჯება და თანაც ჭამის დროც ახლავდება, ხშირია, როდესაც «პარკის» ერთ-ერთი ჯგუფი თავს ანებებს ბრძოლას, ჰკრებენ თავიანთ მკვდრებს და დაჭრილებს და მიიჩნიათ, რომ დღეს საკმაოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და არავითარ ანგარიშს არ უწყევენ საერთო გარემოებათ და სტოვებენ ბრძოლის ველს. მსროლელთათვის მიუღებელია აგრეთვე მთელი ღამე ბრძოლის ხაზზე ყოფნა — ეს გიაურების საქმეა, თუ ამათ არ სურთ არც სმა, არც ჭამა და არც ძილი. კარგ მორწმუნე ადამიანს კი შეჰყვერის ახალი ძალღონის მოკრება სვალინდელი დღისათვის.

მრავალია ისეთი მაგალითი, რომ ამა თუ იმ ათასეულმა იბრძოლა საღამომდე, მთელი ღამე გაატარა სროლაში და რიჟრაჟზე გაკვირვებულია ბრძოლის ველის სიჩუმით და სრულიად მშვიდათ ასრულებს უკან დახევას, რაც წინა საღამოს რომ დაეწყო, სულ სხვანაირად შეიძლება გათავებულებოდა მისთვის. ეს იმიტომ, რომ ათასეულის უკანდახევით და ძარცვის იმედით მადგალავიძებული მტერი ფეხდაფეხ აედევნებოდა. ქალი, ბავში და ბებრები, ყველანი გაემართებოდნენ ძლიერი ჯარის საძარცველად.

მსურს რამოდენიმე სიტყვით შევეხე პარტიზანთა გამოყენებებს. მათ არ უნდა მოვსთხოვოთ ძნელი რამ და დიდი გამძლეობა ველოს დასაცავად. მათ მოეთხოვება მტრის დაზვერვა, შეხვედრა, პირველი შეხლა, მაგრამ ნუ მოვსთხოვთ ბრძოლის ველის დაკავებას. იერიშზე მიდინ სანაშინელი სისწრაფით, მაგრამ იმავე სისწრაფით ბრუნდებიან უკან. მათი ზურგის გასამაგრებლად საჭიროა რამოდენიმე კარგი ასეულის ყოფილა, რომელთა ზურგში მათ შეეძლებათ შეკრება, დასვენება და ხელახლა საიერიშოდ მომზადება.

ამგვარად: მაროკოში ომი სწარმოებს მეტად ძნელ პირობებში და ეს ომი გაცილებით უფრო ძნელია საწარმოებლად, ვინემ იგი მსხვერპლს იძლევა!

მომქმედ ჯარს(*) წინ არ ეღობება არც არტილერიის ცეცხლი, არც ავიაცია, არც გაზები! პირიქით: — მას ფვითონ ესმარება ტანკების ავიაცია და არტილერიაც. მაშასადამე: — მან უნდა იმოქმედოს ყოველთვის გაბედულად და უშიშრად; ხოლო არასოდეს არ უნდა იქნეს წინდაუხედავი და გაუფრთხილებელი, რადგან ყოველ შეცდომას და გაუფრთხილებლობას ელვის სისწრაფით იყენებს თავის სასარგებლოდ, ფიზიკური და მორალური მხრივ უფრო ძლიერი მტერი.

ნიკ. თოხაძე

(*) სადაც არის ნახმარი სიტყვა «ჯარი» — ყველგან იგულისხმება ფრანგების რევულიარული ნაწილები.

ქ ვ ე ი თ ი ჯ ა რ ი

დღეს შეიარაღებულ ძალის მთავარ დარგს, როგორც რიცხოვნებით აგრეთვე საბრძოლო მნიშვნელობით, ქვეითი ჯარი წარმოადგენს. როდესაც ლაპარაკია ჯარის ზნეობრივ ღირსებაზე, მის სულიერ სიმაღლეზე და საბრძოლო ღირებულებაზე, მხოლოდ ქვეითი ჯარი იგულისხმება. ვიდრე ქვეითი ჯარი ზნეობრივად მალა სდგას და არ გახრწნილა; ვიდრე იგი სულიერად არ დაცემულა და შესწევს ბრძოლის უნარი, სხვა დარგის ნაწილებში ზნეობრივ შერყევას არა შემთხვევაში არ ექნება ადგილი. ყოვლად შეუძლებელია, რომ ქვეითი ჯარი თავის სიმაღლეზე იდგეს, ხოლო სხვა რომელიმე დარგის ნაწილებში სულიერი რღვევა სწარმოებდეს. მაგრამ თუ ქვეითი ჯარი დაეცა სულიერად და დაჰკარგა ბრძოლის უნარი, ამის გამოსწორება ვერაფრითარ დარგს ველარ შეუძლია; მაშინ ითქმის, რომ საერთოდ ჯარი გახრწნილია და აღარა აქვს ბრძოლის უნარი. ამ სენს, ქვეითი ჯარის შემდეგ, სხვა დარგის ნაწილები ველარ უძლებენ. ეს მნიშვნელობა ქვეითი ჯარს ბრძოლის დღევანდელ პირობებმა მიანიჭეს. დღეს, იარაღის სრულყოფილების გამო, ბრძოლის ველზე ცეცხლის უწყალო ქარიშხალი მძვინვარებს, რომელსაც წინ, გარდა ამგვარ ცეცხლისავე, რომელიც მოწინააღმდეგეს უკვე რამოდენიმე კილომეტრზე სწვდება, ვერაფერი ვერ აღუდგება; ამან გააქრო ბრძოლის ველიდან ფერადათ გამოწყობილი, მხარი მხარ მიბჯენილი სწორი მწკრივები. ბრძოლის ველი დაცარიელდა და ყველაფერი დედამიწას მიეკრა. ყველა ის დარგი, რომელსაც ვერ ძალუძს ყოველ წუთს ესეთი მძლავრი ცეცხლის წარმოება და ამასთანავე თავისი სრული მოძრაობის შერჩენა, დაექვემდებარა მას, ვისაც ეს თვისებანი ვერ აპყარა ბრძოლის დღევანდელ სახემ, დაექვემდებარა ქვეითი ჯარს.

ეს მუდამ ასე არ აყო. იყო დრო, როდესაც ქვეითი ჯარს ბრძოლის ველზე არა კუნდა დიდი მნიშვნელობა, როცა ქვეითად მხოლოდ რაინდთა მსახურნი დადიოდენ და იბრძოდენ; ხოლო როცა ბრძოლის პირობებმა პირველად დაჰბადეს ქვეითი ჯარის საჭიროება, ამ დარგში მსახურ ზოგ წრეებში სათაკილოდ იყო მიჩნეული. ამ უხეში შეხედულების კვალი ზოგიერთ ჯარში თითქმის დღევანდელ ურთიერთობასაც ატყვია.

დღეს ბრძოლის ველზე ქვეითი ჯარი მეფობს და ყველა სხვა დარგის დანიშნულებაა ამ ქვეითი ჯარის დახმარება და მიზანის მიღწევის გაადვილება; უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ამ სიტყვების ისე გაგება, ვითომც სხვა რომელიმე დარგი არ იყოს საჭირო და არ ჰქონდეს მნიშვნელობა. არ შეიძლება არც ერთი დარგის უყურადღებოდ დატოვება და მუდამ უნდა მივიღტვოდეთ სრული ჰარმონიულ თანამუშაობის მიღწევისაკენ. ეს ჰარმონიული თანამუშაობა კი, სწორედ ამ ქვეითი ჯარის დახმარებაში და მიზანის მიღწევის გაადვილებაში გამოიხატება, ვინაიდან სხვა დარგს არ ძალუძს მკვიდრი და დამოუკიდებელი ბრძოლის ხანგრძლივი წარმოება.

ქვეითი ჯარის ეს მეფობა დამკვიდრებულ იქნა ბრძოლის დღევანდელი პირობებით. ეს უპირატესობა დამყარებულია შემდეგ მოვლენებზე:

I. ქვეითი ჯარი ყველა დარგზე ადვილად ლახავს ყოველ გვარ დაბრკოლებას, სხვა რომელიმე იარაღს არ შეუძლია ასე ადვილად დაბრკოლების გადალახვა.

II. ქვეითი ჯარს შეუძლია ყოველგვარ პირობებში ბრძოლის წარმოება მთელი თავისი სიძლიერით, როგორც წინსვლით, აგრეთვე ცეცხლით და ამისთვის არ მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეითი ჯარისათვის არ არსებობდნენ ცუდი და კარგი პირობები.

III. მხოლოდ ქვეითი ჯარს შეუძლია დამოუკიდებლად მტკიცე ბრძოლის წარმოება.

ეს არ ნიშნავს, თითქმის სხვა იარაღი არ იყოს საჭირო. არა; მუდამ უნდა ვეცადოთ, რომ ყოველ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდეს ყოველი იარაღის აუცილებელი რიცხვი; მაგრამ თუ იძულებული შევიქვანით მართო ერთ-ერთი იარაღით ვაწარმოოთ ბრძოლა — ეს მხოლოდ ქვეითი ჯარს შეუძლია. ცუნთასანი ჯარი განმარტობებულად ბრძოლაში ვერ იჩენს ქვეით ჯარას დაკვარ გამკლობას და სიმტკიცეს; ეს მისი თვისება ბუნებრივი შედეგია. მისი მოქმედება დამყარებულია ქვეითი ჯარის სიხლოვეზე ან და ამ ქვეითი ჯარის, ფრონტის სხვა რომელიმე ნაწილზე, ძლევამოსილ მოქმედებაზე. საიდან წარმოიჭვა ყველა ეს?

დღევანდელი ბრძოლის მთავარ საშუალებას წარმოადგენენ: წინ სვლა და ამ წინსვლისთვის საკუთარი ცეცხლით გზის გაკაფვა, ესე იგი ცეცხლი და მოკრაობა. ეს ორი ელემენტი ერთი მეორესადმი მაზანშეწონილად უნდა იქმნეს შეწყობილი. ქვეითი ჯარი შეუჩერებელიც ისწრაფის წინ, თუ მას მტრის ცეცხლი არ აფერხებს, ხოლო მტრის ცეცხლში

საკუთარი ცეცხლით არღვევს გზას. თუ საკუთარი ცეცხლით არ შეარყია მტრის ცეცხლის სიძლიერე და ნაყოფიერება, მისი წინსვლა წარმოდგენილია, საკუთარის ცეცხლის წარმატება კი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს წამოყენებული წინ წასაწვევად.

ქვეითი ჯარს ყოველ წუთში შეუძლია ამ თვისებათა უღარესი გამოყენება და ამისათვის მომზადება თითქმის არც კი სჭირია; მაშინ როდესაც არტილერია მარტო ცეცხლის საწარმოებელ იარაღს წარმოადგენს და მოძრაობის დროს სრულიად უძლურია, ხოლო დასაწყებად კი სპეციალური მომზადება სჭირდება.

ცხენოსანი ჯარის ცეცხლის ძლიერება კი ძლიერ სუსტია, ვინაიდან დაქვეითებულ ბრძოლაში ყველა ჯარისკაცი არ იღებს მონაწილეობას (ცხენების დაკავების გამო) და მძიმე და მსუბუქ ტყვიამფრქვევებით შეიარაღება უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვეითი ჯარში. ცხენოსან ჯარის ბრძოლაში ცეცხლის წარმოება ხომ თითქმის შეუძლებელია. ყველა ეს პირობა უძნელებს მას ქვეითი ჯართან რეგულიარულ ბრძოლაში ხანგრძლივ გაჩერებას და გაძლებას.

ქვეითი ჯარის ბრძოლა შემდეგ ეტაპებიდან შესდგება:

1. წინსვლა მტრის ზეგავლენის გარეშე, როდესაც მტრის ვერც ქვეითი ჯარის და ვერც არტილერიის ცეცხლი ვერ გწვდება. (მტრის ფრენოსნობისაგან მომავალში, ვერავითარი სივრცე ვერ უზრუნველგვყოფს). იმ დროს მთელი ყურადღება მიე¹ცევა ნაწილათვის ამ წინსვლის გაადვილებას და ჯარისკაცთათვის მსუბუქ პირობების შექმნა-გაადვილებას. მიუხედავად ამისა საჭიროა ნაწილის და მისი უფროსის უზრუნველყოფა მტრის რაიმე მოულოდნელი მოქმედებისგან, რისთვისაც აუცილებელია წინმცველის და გეერდმცველის გამოყოფა. ეს არის უზრუნველყოფილი წინსვლა.

2. ამ წინსვლის დროს ნელნელა შევდივართ მტრის არტილერიის სივრცეში, როცა მისი ქვეითი ჯარის ცეცხლი ვერ ვერ გწვდება და არც ჩვენა გვაქვს საშუალება საკუთარი იარაღის მოხმარებისა. მიუხედავად ამისა, მტერს უეჭველად უნდა დაგუახლოვდეთ ჩვენი იარაღის (ქვეითი ჯარის) მოხმარების მანძილზედ, ხოლო მტრის არტილერიის ცეცხლის შედეგები უნდა შევამციროთ მინიმუმამდე ყოველ საშუალებით. ამისათვის ნაწილი სტოვებს გზებს, იზღება და იღებს მომავალი ბრძოლისათვის განზრახულ წყობას. ვიწყებთ გაშლილ წინსვლას.

3. წინსვლით თანდათან შევდივართ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ცეცხლში. ამის შემდეგ, თუ საკუთარი ცეცხლით არ გავიკაფეთ გზა, წინსვლას ვეღარ მოვახერხებთ. ამ წუთიდან იწყება შეტევა.



4. წინსვლასთან საკუთარი ცეცხლის სისტემატიურად თანშეწყობა

ბიოა წარმოებით, ვუახლოვდებით მტერს სულ უკანასკნელ მანძილზე, რომლიდანაც გადავდივართ ხელჩართულ ბრძოლაზედ.

როგორც ვხედავთ, ქვეითი ჯარს შეუძლია დაიკავოს შეტევის საგანი და შეირჩინოს იგი, თუ მტერმა უკუმოქმედება იწყო. შეუძლია აგრეთვე დამარცხებული მტრის დევნა როგორც ცეცხლით, ისე მოძრაობით ე. ი. შეუძლია წარმატების სრული გამოყენება, მაშინ როდესაც არტილერიას არ შეუქლია საგნის დაპყრობა და ვერც შერჩენას მოახერხებს, რომ საკუთარი ძალებით, დაუხმარებლივ, მაგერაებაზე შეიქნეს იძულებული. ცხენოსან ჯარს კი შეუძლია დაკავება, შეუძლია ამ დაკავებული საგნის შერჩენაც, მაგრამ მხოლოდ ქვეითი ჯარის მოსულამდე.

როგორც ვხედავთ, ქვეითი ჯარი იბრძვის ცეცხლით საკმაოდ დიდ მანძილზე, აწარმოებს ხელჩართულ ბრძოლას, სჭირდება მას მტრის ცეცხლის მძევინვარების შერყევა და საკუთარი ცეცხლის უაღრესი სიძლიერის გამოყენება; იბრძვის მდებარეობის ყოველგვარ სახეებში, როგორც მთებში და კლდეებში, აგრეთვე ვაკე ველზე და ჭაობებში. ყველა ამისთვის საჭიროა იგი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო იარაღით და საშუალებებით; ამიტომ ქვეითი ჯარის შეიარაღება დღეს ძლიერ მრავალ ფეროვანია, სახელდობრ: თოფი ხიშტით, ხელ - ყუმბარები, მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევები, ნიჩაბი, დამხმარე იარაღი და თანმხლები არტილერია, ე. ი. შესდგება იგი ცეცხლის საწარმოებელი იარაღიდან პატარა და დიდ მანძილზე დაფენილ და ზეცემითი ტრაქტორიით. მის ბრძოლის პირობებთან ეა დაკავშირებული ამ დარგის ორგანიზაცია. (*)

როგორც უკვე აღნიშნული იყო ქვეითი ჯარის ზნეობრივი სიმალღე და საბრძოლო ვარგისობა მთელი შეიარაღებული ძალის ღირსებასა და ვარგისობას წარმოადგენს. ბრძოლა თავისი შედეგებით ყველაზე სასტიკად ქვეითი ჯარს ეხება და სწორედ ამ ზემო ჩამოთლილ მხარეებს, ვინაიდან ქვეითი ჯარი ყველაზე ახლოა მტერთან, ყველაზე მძლავრად განიცდის მტრის ცეცხლის შედეგებს, მოგზაურობს ყვეოა იარაღზე მძიმე პირობებში და საერთოდ, ყველაზე მკაცრად განიცდის ბრძოლის ქარცეცხლს. ამ იარაღის ჯარისკაცს აქვს და სჭირდება ბრძოლის ველზე ყველაზე მეტი ინიციატივა, ამისთვის აუცილებელია სათანადო საბრძოლო გამჭრიახობა. ეხლანდელ პირობებში, ჯარისკაცის თანამეხება უფროსთან, ბრძოლის ველზე დღითი დღე მცირდება და ძლიერ ხშირად მთელი ბრძოლის განმავლობაში იგი მხოლოდ საკუთარი შტგების კონტროლში იქნება.

(*) ქვეითი ჯარის ორგანიზაციის შესახებ მოთავსებული იქნება სპეციალური წერილი.

რაში უნდა გააძლებინოს ჯარისკაცს ამ პირობებში და რა უნდა იყოს მისი ვარგისობის ნიადაგი? მხოლოდ აღზრდა, აღზდა საღ ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული, ისტორიული ზიხლი მტრისადმი და საკუთარი ერის სიმაღლის შეგნება. ამ აღზრდის შეზღუდვა ყაზარმის კედლებით არასოდეს არ შეიძლება. დღეს ისე მოკლე ხანი გრძელდება სამხედრო ბეგარა, იმდენი საგანია სასწავლო და ყველა ეს საგანი მოითხოვს ისეთ ხანგრძლივ და სისტემატიურ გაწრთვნას, რომ ამ დროს ჯარისკაცის აღზრდა მუდამ შეზღუდული იქნება მხოლოდ გაწრთვით. ეს აღზრდა უნდა სწარმოებდეს თვით სახელმწიფოში, დაწყებული ბავშობიდან. ჯერ ისევ 1871 წელში აღნიშნა მოლტკემ, რომ «გაიმარჯვა სოფლის მასწავლებელმა»-ო. ეს სრული ჭეშმარიტებაა! ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა გერმანელ ერში ნაპოლეონის მწარე ომებმა დაბადეს და აქედან დაიწყო მათი ეროვნული აღზრდა. საქართველოში ეს არ იქნება ძნელი: დღევანდელი ბედის სიმწარემ მძლავრად გაუსვა ხაზი უცხოელების მძინვარებას და როცა ქართველი საკუთარი კერის პატრონი შეიქნება, მისი ფასი კარგად ეხსომება. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველის აღზრდა ადვილია, ოღონდ კი ამას შესაფერი ყურადღება მიეპყროს. გარდა ამისა აუცილებელია რწმენა უფროსისადმი, მისი ღირსებისა და ვარგისობისადმი. ამისათვის საჭიროა მომავალ უფროსთა ე. ი. ოფიცერთა საზრიანი შერჩევა და მათი გაწრთვნა, განათლების ყოველგვარი ყაირათის და თანხების დაზოგვის გარეშე წარმოება. აქ ყაირათი იმისი მაჩვენებელი იქნება, რომ საქართველო მთელ იმედს — თავის ახალგაზდობის აზრდას — უვიც ხელში ჩააგდებს და რომ ომის დროს, მათ სიცოცხლეს და თავის ეროვნულ არსებობას უვიც და მოუმზადებელ ქირურგს დაუდებს მაგიდაზე. ეს ჩვენი ერისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენი სიპატარავის გამო ყოველ ომში ჩვენი არსებობის საკითხი იქნება დასმული

რა სიძნელეთა გათვალისწინება იქნება საჭირო ჩვენში სამხედრო აღზრდის დროს?

ყოველ ქართველს აქვს დაყოლილი უადგილო ამპარტავნობა და თავმოყვარეობის ერთგვარი ცრუ სახე. ძლიერ ხშირად უყვარს მას პატარა წალაპარაკება და კრიტიკა. სამხედრო ცხოვრებაში — ეს ყველაზე ცუდი მოვლენაა. ყველასათვის ცხადია, რომ როგორც სახელმწიფო აპარატში, მით უფრო ჯარში, აუცილებელია სრული, ყოვლად ურყევი მორჩილება. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ძველი, ყოველ ნაბიჯზე მრავალჯერ დამტკიცებული მოვლენა, რომ: — დეე, რაგინდ სუსტი თავიდან გამოვიდეს ბრძანება, ოღონდ კი იგი ერთი თავიდან გამოვიდეს და მისი განხორციელება უზრუნველყოფილი იქნეს — უკვე დადებით

შედგეს მოიტანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განხორციელება შეუძლებელი ხდება. იქ, სადაც მთავარსარდალი საკუთარ გადაწყვეტილებას მორიდებია, არც ერთ სამხედრო ბჭობას, არც ერთ ბრძოლის დროს არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ეს ქეშმარიტება ყოველ საფეაურზე სამხედრო იერარქიის უამრავჯერ ყოფილა ცხადყოფილი და მისი ზედმეტი გამოცდა უკვე დანაშაულია.

გარდა ამისა, ქართველ კაცს მოკლე ანთება უყვარს ე. ი. არის საუცხოვო მასალა ძველი სახის ბრძოლისა; ამისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის აღზრდაში ხანგრძლივ და სისტემატიურ მუშაობის და ნერვების დაქიმვის თვისებათა გამომუშავებას. მეცხრამეტე საუკუნემდე სრულიად საკმარისი იყო ჯარისკაცის მარტო გაწრთვნა. მთელი ომის ბედს ერთი ან რამოდენიმე ბრძოლა სწყვეტდა, ხოლო თვით ეს ბრძოლა სულ რამოდენიმე საათში თავდებოდა. ამ პირობებში, როდესაც ჯარისკაცი ერთი მეორეს მხრით ეკვროდა და თავის უფროსს უშუალოდ შეჰყურებდა თვალებში, რა გინდ უვარგისი ელემენტი არ ყოფილიყო, ადვილად შეიძლებოდა მათი ანთება და გატაცება. ამის გასამტკიცებლად საკმარისი იყო ავტომატად ქცეულ ერთეულის უკან ზემდეგის ჯოხის ამოყენება. ეს არ იყო სარკაზმი; სრულიად მიზანშეწონილი სახე იყო მაშინდელი პირობებისათვის — იყო ყველაზე ადვილი და იაფი სახე ჯარის სასურველ სიმაღლეზე დასაყენებლად: რამოდენიმე საათიანი ბრძოლა ვერ აჩვენებდა მექანიკურ გაწრთვნის და ჯოხის ეფექტს.

დღეს მარტო ბრძოლა გრძელდება რამოდენიმე კვირა და თვეები, ჯარისკაცი ამ ბრძოლაში ერთი მეორესაგან ხუთ—ათ ნაბიჯზე არის დაშორებული და ძლიერ იშვიათად ხედავს თავის უფროსს. რომ გასძლოს ამ პირობებში, უნდა იცოდეს ძლიერ კარგად, — რისთვის იბრძვის და ანთებული უნდა იყოს იმ ბჭრის წინააღმდეგ, რომელმაც იგი საკუთარ კერას მოსწყვიტა. ამისთვის კიდევ ერთხელ აუცილებელია აღზრდა ერთგულ ნიადაგზე.

(შემდეგი იწება)

არტილერია

მისი დანიშნულება და გამოყენება

თანამედროვე ბრძოლაში

III.

არტილერიის ორგანიზაცია.

ცეცხლის ერთეულად არტილერიაში არის ბატარეა, რომელიც შესდგება ორი მწყობრისაგან; — მწყობრი კი ორი სტიქიონისაგან. [სტიქიონს ვუწოდებთ ქვემეხისა და სავაზნე ყუთის მთელ შემადგენლობას ერთად]. ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბატარეაში ქვემეხების რიცხვი, რომელიც აღწევს ოთხამეტს; არის სრულებით საკმარისი, ვინაიდან სათანადოთ აკმაყოფილებს ყოველ მოთხოვნილებას. თანამედროვე ქვემეხების მსწრაფლმსროლობა გვაძლევს საშუალებას ოთხი ქვემეხით შეესძლოთ ის, რის შეძლება წინად ჰქონდა რვა და კიდევ მეტ ქვემეხსა; ამას გარდა, ოთხ ქვემეხიანი ბატარეა უფრო მოძრავი და მბრუნავია, ვინემ მეტი ქვემეხების შემადგენლობის ბატარეა, წარმოადგენს მტრისათვის უფრო მცირე მიზანს, მეტად გაადვილებულია ქვემეხების მიდამოზე მოთავსება და დაფარვა პოზიციების დაკავებისას და, რაც უმთავრესია, მეტად გაადვილებულია უფროსებისთვის ბატარეის განგება-ხელმძღვანელობა და ცეცხლის წარმოება. აქედან ვხედავთ, რომ თანამედროვე ბატარეაში თუმცა ქვემეხები გაცილებით ნაკლებია, ვინემ იყო წინად, მაგრამ მოქმედების შეძლებით ბევრად წარემატება და სჯობნის ძველსა.

არტილერიის ტაქტიკური ერთეული არის დივიზიონი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შესდგება სამი ბატარეისაგან, რომელსაც კიდევ ერთვის სავაზნე კოლონა; დივიზიონის სათავეში სდგას შტაბ-ოფიცერი, რომლის განკარგულებაში იმყოფება დივიზიონის საგამგებლო აპარატი. თვით ერთეულების შემადგენლობაზე და შტატებზე აქ არ ვილაპარაკებ, ვინაიდან ეს უკვე ცალკე საგანს შეადგენს.

ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს რაზმი სამი დივიზიონის შემადგენლობით. შესაძლებელია ადმინისტრაციულ ერთეულად იყვეს თვით დივიზიონიც და ზოგიერთ შემთხვევაში კი ბატარეაც.

არტილერიის ორგანიული დაყოფა არის შემდეგი.

1. ქვეითი ჯარის არტილერია, რომელიც შედის ორგანიულად ქვეითი რაზმის შემადგენლობაში. რაოდენობა ამ არტილერიისა სხვადასხვა ქვეყნის ჯარებში სხვა და სხვა გვარია. საერთოდ იგი აღწევს ერთ მწყობრიდან ე. ი. ორ ქვემეხიდან ერთ დივიზიონამდე; მაგალითად: — რუსეთის ქვეითი ჯარის არტილერია შესდგება ორ-ბატარეიან დივიზიონისაგან (წარბაზნები 76,2 მლმ.); პოლონეთისა კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მწყობრიდან. უნდა ვეცადოთ, რომ მომავალ ჩვენ ჯარში თითო ათასეულის განკარგულებაში იმყოფებოდეს ორი სამთო ქვემეხი, რაც ათასეულს ფრიად გააძლიერებს და გაუადვილებს მოქმედებას დამოუკიდებელ დავალებათა შესრულების დროს. ეს არის ქვეითი რაზმის მასშველი არტილერია; და მისი დანიშნულება გამოიხატება დაუყარებლივ და სწრაფ მოქმედებაში თავისი ჭურვებით მოპირდაპირის წინააღმდეგობის უეცარ საშვალეებზე ან იმგვარ მიზნებზე, რომელთაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ქვეითი ჯარს და რომლის მოსპობა-მოგერიება დამხმარე არტილერიისათვის გაძნელებულია სიშორის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო.

საბრძოლო მოქმედებისას ქვეითი ჯარის არტილერია უნდა მოძრაობდეს ხტომით ერთი საფარიდან მეორემდე, ერთი მომზადებითი პოზიციიდან მეორემდე, რომელიც უნდა იმყოფებოდეს დაახლოვებით ქვეითი ერთეულის თადარიგ-მასშველ ნაწილების მიდამოში. მისი სასროლი პოზიცია უნდა იყოს ფარული და ნილაბმოსხმული, უნდა ერიდებოდეს სრულიად ახდელ პოზიციის დაკავებას, ვინაიდან მტერი მას სწრაფად შეამნევს, შეუფერხებს მოქმედების შეძლებას და შესაძლებელი არის გაანადგუროს კიდევაც; ყოველ ქვემეხს დიდი დახმარების მოტანა შეუძლია ქვეითი ჯარისათვის და ვინაიდან ქვეითი ჯარის განკარგულებაში არ იმყოფება ქვემეხების მრავალი რიცხვი, ამიტომ მათი მოხმარება უნდა იყოს ფრიად მიზანშეწონილი და ეგრე ადვილად არ უნდა იყოს განწირული ქვემეხი ქვეითი ნაწილთა უფროსების მიერ. გარდა ამისა, სასროლი პოზიციები უნდა იყოს ახლო სათვალყურო პუნქტებისაგან და იძლეოდნ სროლის წარმოების შეძლებას საკუთარი ქვეითი ჯარის თავზემოდ, ან კიდევ ერთეულთა შორის გამოტოვებულ, დაუკავებელ სივრცეზე. პოზიციის დაჭერა უნდა ხდებოდეს ფარულად მოპირდაპირის თვალხედვისაგან; თუ კი გარემოება მოითხოვს, ხშირად, გამოსხნილ



უნდა იქნენ ცხენები შებმულობიდან და ქვემეხები წაწეული საქირა ვდ გილას ჯარისკაცთა მიერ. ხან კი სიფრთხილის და მოთხოვნილებსამებრ წაწეულ უნდა იქნეს წინ თუნდაც მხოლოდ ერთი ქვემეხი და დანარჩენები კი დატოვებული სამზადის პოზიციაზე.

დავალების შესრულებისათანავე უნდა საჩქაროდ დატოვებული იქნეს სასროლო პოზიცია, რომ მტერმა არ მიაგნოს მას და არ გაანადგუროს; და ეს უნდა ხდებოდეს იმავე წესით და სიფრთხილით, როგორც პოზიციის დაკავების დროს.

უკვე მოქმედების დაწყებისას ქვეითი რაზმის უფროსმა უნდა აცნობოს თავისი არტილერიის უფროსს, თუ საკუთარ რომელ ერთეულის ნაწილთან ავლინებს ამ არტილერიას; შემდეგ უნდა უსაზღვრავდეს მიზნებს და დავალებას; არტილერიის უფროსი კი არის ტექნიკურ მრჩეველად ქვეითი ერთეულის უფროსთან.

საკუთარი ინიციატივით, ქვეითი რაზმის არტილერია ესვრის მხოლოდ ტანკებს, ჯავშნოსან ავტომობილებს და ცხენოსანი ჯარის იერიშს.

ამ არტილერიის უფროსის კავშირი ქვეითი ჯართან უნდა იყოს უზრუნველყოფილი უმთავრესად ქვეითი ერთეულის უფროსთან საერთო სათვალყურო პუნქტების ამორჩევით. თუ კი ეს უფროსები იძულებული შეიქნენ ერთი მეორეს რომ დაშორდნენ, მაშინ არტილერიის უფროსი უნდა ეცადოს საიმედო კავშირი გააბას ქვეითი ერთეულის უფროსთან ოპტიკური ნიშნების, მაშხალების, შიკრიკების ან ელსმენის საშუალებით.

საზოგადოთ, ეს ქვეითი რაზმის არტილერია მიეკვლინება: —

საბრძოლო სვლისას — (ლაშქრობისას) — მოწინავე რაზმს (წინამცველს) ათასი—ათასხუთასი მეტრის მანძილზე დაშორებით მოწინავე დამცველ ნაწილებისაგან.

დაახლოვებითი სვლისას — პირველი ტალღის ერთეულებს.

შეტევისას — პირველი ტალღის ერთეულებს (უკვე შეტევის დაწყების წინვე)

დევნისას — მდევარ ერთეულებს.

მოგერიებისას — იხმარება გასწორივი სროლისათვის, ან ტანკების საწინააღმდეგოდ და თავსდება სათითაოდ პირველ ხაზში.

დახვეისას — უკანამცველ ერთეულებს (ხშირად ხეებისა და ვიწრო გასავლელების ჩასაკეტად), დახვეა სწარმოებს ხტომით, სათითაო ქვემეხებით.

საველე საყარაულოს — ხშირად სათითაო ქვემეხი.

ვინაიდან ეს არტილერია თითქმის მუდამ იმყოფება პირველ

ნაზში, ამიტომ მისი ჭურვებით შეესება ძალიან გაძნელებულია და ამიტომ საჭიროა მის მოხმარაში დიდი გამოზომილობა და მიზანშეწონილობა.

2. სადივიზიო არტილერია, რომელიც შედის ორგანიულად ქვეითი ან ცხენოსანი დივიზიის შემადგენლობაში (საზოგადოთ, ერთი საგელე არტილერიის რაზმი ქვეითი დივიზიაში და ერთი ან უფრო მეტი ცხენოსანი არტილერიის დივიზიონი ცხენოსან დივიზიონში), უმთავრესად უშუალო დახმარების და აგრეთვე საერთო მოქმედების დავალებათა შესასრულებლად.

3. სადისპოზიციო არტილერია (საარტილერია თადარიგი). მთავარსარდალის განკარგულებაში იმყოფება არტილერიის თადარიგი. ეს არის მძიმე და სხვა გვარი არტილერიის რაზმები და დივიზიონები, რომელიც მთავარსარდალის განკარგულებით ევლინება საოპერაციო ჯგუფების უფროსებს საჭიროების მიხედვით. ამ უფროსებს შეუძლიათ დაიტოვონ ეს არტილერია თავის უშუალო განკარგულებაში, ან კიდევ მოიხმარონ ზედაქვეითი ერთეულების ორგანიული არტილერიის გასაძლიერებლად.

4. არტილერია მივლინებული, რომელიც უმაღლესი უფროსის ბრძანებით, დროებით შედის გამოყოფილი ნაწილის ან რომელიმე ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში, რომელსაც ევალება რაიმე დამოუკიდებელი მოქმედების შესრულება.

ჯგუფის უფროსი, რომლის განკარგულებაშიც გადადის მივლინებული არტილერია, არამც თუ მთლიანად განაგებს მის მოხმარებას, არამედ უნდა სცდილობდეს კიდევ მის სრულ დაცვა-უზრუნველყოფაზე და მომარაგებაზე.

ჯგუფის უფროსის დამოკიდებულება მივლინებული არტილერიის უფროსთან იმგვარივეა, როგორც დივიზიის უფროსისა დივიზიის არტილერიის უფროსისადმი. დივიზიის თანასწორ ჯგუფებში მივლინებული არტილერია ექვემდებარება დივიზიის არტილერიის უფროსს.

არტილერიის უფროსობის ორგანიზაცია შემდეგნაირია:

არტილერიის სათავეში სდგას არტილერიის გენერალური ინსპექტორი, რომლის მზრუნველობაში და ყურადღებაში იმყოფება ყოველგვარი არტილერიის ერთეულები და სხვა ნაწილებიც, როგორც საარტილერიაო და შეიარაღების სამსახურები. მისი მთავარი მოვალეობა კი არის თვალყურისდევნა წრთენა-სწავლებისა, როგორც არტილერიის ერთეულებში, ისე სკოლებშიც.

ომიანობის დროს, მთავასარდალთან იმყოფება ხელმძღვანელი [შეფი]: არტილერიის შეიარაღების სამსახურისა და ველზე მომქმედ ჯარებისა. მის მოვალეობად ითვლება: — თვალყურისდევნა ველზე არტილერიის მოხმარების ტექნიკურ მხარეზე და, — მთავასარდალის სპეციალური ბრძანებით, — აგრეთვე დიდი ერთეულის უფროსების მიერ არტილერიის ტაქტიკურ გამოყენებაზე. ერთ და იმავე დროს, ეს უფროსი ასრულებს მთავასარდალის სადისპოზიციო არტილერიის უფროსის თანამდებობას და ამ მხრივ შველის მთავასარდალს თავისი პროექტებით და გეგმებით, ამ არტილერიის მოქმედებებში გამოსაყენებლად და მათი დიდ ერთეულებს შორის დაყოფის დროს.

შეიარაღების სამსახურის მხრივ კი, მის მოვალეობას წარმოადგენს:—

ა]. საველე ძალთა შეიარაღების სამსახურის ხელმძღვანელობა და თვალყურისდევნა

ბ]. მთავასარდალისათვის დამუშავება პროექტებისა იარაღითა და სასროლ მასალით მომარაგების შესავსებად და მის გასანაწილებლად დიდ ერთეულთა შორის.

როგორც მთავასარდალთან, აგრეთვე ყოველ დიდი ერთეულის უფროსთანაც იმყოფება მის განკარგულებაში - მყოფი არტილერიის უფროსი, რომლის კომპეტენცია და მოვალეობანი იმგვარივეა როგორცაა ზემოხსენებული არტილერიის ხელმძღვანელის, და ეს, რასაკვირველია, მხოლოდ თვით ამ დიდი ერთეულის ფარგლებში.

ყოველ ქვეითი და ცხენოსან დივიზიაშიც იმყოფება არტილერიის უფროსი, რომლის განკარგულებაში იმყოფება დივიზიის ორგანიზული არტილერია. ბრძოლის დროს ეს უფროსი განაგებს როგორც დივიზიის ორგანიზულ არტილერიას, აგრეთვე დივიზიისადმი მივლინებულ სადისპოზიციო არტილერიის ნაწილებსაც; ხელმძღვანელობს მთელ ამ არტილერიას ბრძოლაში, როგორც ტაქტიკურად, აგრეთვე ტექნიკურადაც.

მისსავე მოვალეობას შეადგენს გეგმის შედგენა არტილერიის გამოსაყენებლად, დივიზიის უფროსის გადაწყვეტილების თანახმად, დივიზიის განკარგულებაში მყოფ არტილერიის დაყოფა ჯგუფებად, დავალებათა განსაზღვრა, განსაზღვრა ყოველი ცალკე ჯგუფისათვის მოქმედების სიკრცესი, მიზნების, სათვალყურე პუნქტების და არტილერიის პოზიციათა უბნების. გარდა ამისა, ხელმძღვანელობს დივიზიის არტილერიის დაწვერის სამსახურს და აწესრიგებს ყოველგვარ სხვა საკითხს, რომელიც ეხება არტილერიას და დივიზიის შეიარაღების სამსახურს.

ლ. მ.

წ ა რ ს უ ლ ი ს მ წ ვ ე რ ვ ა ლ ზ ე ე

«ჯვაროსანთა დროიდან»

ზ. ავალიშვილი: «ჯვაროსანთა დროიდან».

თბილისის საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929.

საქართველოს წარსული — ეს ნოყიერი ნიადაგია, რომელზეც მადლიან კალამს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავება შეუძლია.

სხვაგან, ბევრგან ქვა ქვაზედაც არ არის დატოვებული, ყველაფერი თითქმის გადაბრუნებულია და გამოკვლეული, — ჩვენში კი, ჯერ კიდევ არის ფართო თავისუფალი ასპარეზი მათთვის, ვისაც გული ერჩის და ძალუძს.

ამ მხრივ, ბ-ნ ზ. ავალიშვილის სამეცნიერო ნარკვევი მეტად ღირსეულია და სამაგალითოდ მისაბაძი.

ქართველი ერის ისტორიის შესახებ აუსებობს მხოლოდ რამოდენიმე საერთო ხასიათის შრომა, და ზოგი მათგანი იძენათ მეცნიერული არ არის, რამდენათ პროპაგანდული და, რომანტიზმის სულით გაქლენილი. ქართველი ერის თავგადასავალის კრიტიკული შესწავლა ეხლა იწყება, და ამ მხრივ ჯერ ცოტაა გაკეთებული.

მით უმეტეს, საინტერესოა ბ-ნ ზ. ავალიშვილის ნარკვევი, რომელიც საქართველოს ისტორიის განსაზღვრულ ხანასა და განსაზღვრულ საკითხებს ეხება.

სპეციალურ თემათა დამუშავება საძირკველია საისტორიო მეცნიერებისათვის. ამ დარგში მასალაც უხვია და სამუშაოც ბევრი.

ბ-ნ ზ. ავალიშვილის შრომა წარმოადგენს თხზ საისტორიო ნარკვევს «ჯვაროსანთა დროიდან», რომელშიც გამორკვეულია საქართველოს პოზიცია და გეზი იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში.

პირველი ნარკვევი: «ჯვაროსანთა დროიდან» არის — «ერთი ჯვარის გარშემო»; იგი შეეხება ქართულ ჯვარს, რომელიც უცნაური ბედით პარიზში გაჩნდა და პარიზის ხალხის სათაყვანებელი გახლდა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში.

აღნიშნული საკითხის გამორკვევასთან ერთად, ბ-ნი ავალიშვილი გზა-და-გზა არკვევს მრავალ სხვადასხვა საკითხს ქრისტიანიზმისა და პოლიტიკის ისტორიიდან, — და რაც საინტერესოა, აქვეყნებს იმ საბუთს, რომელშიც ჯვარის წარმოშობის ამბავია გამორკვეული. ეს საბუთი თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკური ისტორიისათვისაც, ვინაიდან ამის მიხედვით აშკარა ხდება, თუ უცხოელნი, ფრანგები როგორ ისტორიულ მნიშვნელობას აწერდნენ საქართველოს და რაგვარ მისიას აკისრებდნენ მას იმ ხანის მსოფლიო პოლიტიკის გარემოში: — ეს იყო აზრი საქართველოს მიერ კავკასიის დარაჯობისა და დაცვის შესახებ, რაც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ასპარეზზე განხორციელებულ იქმნა დავით აღმაშენებელი მოღვაწეობით, და გამართლებული შემდეგი ეპოქის ისტორიით.

მეთორმეტე საუკუნის საქართველო, ავტორის სიტყვით, ევროპელებს ესმოდათ «როგორც მათი ქრისტიანული ოჯახის წევრი, მათი ტალი, მათი წრის სახელმწიფო»; მაგრამ ჩვენი თვალბედითი ისტორიის ტანჯისა და სისხლის გზაზე საქართველო—სახელმწიფო აზიის ტალღებით ინთქმება, და

«ამასობაში წინ წასული და გამდიდრებული ევროპელი — ვაქარი, მღვდელი, სახელმწიფო კაცი, მეცნიერი — ამასობაში დაცემულ საქართველოს ზემოდან დაჰყურებს... მეთორმეტე საუკუნეში ეს შეუძლებელია...»

საქართველოს ამ დაცემის ღიზნათა შესახებ ბ-ნი ავალიშვილი მხოლოდ გაკვრით ლაპარაკობს, თუმცა მას შეეძლო ეს საკითხი თავის მეოთხე ნარკვევში სავსებით და სრულოვნად, ისევე გამოკვეთილად და სხარტულად, როგორც დანარჩენი საკითხები, დაემუშავებია.

მეორე ნარკვევია «ხარშემო ერთის ომისა» ანუ დავით აღმაშენებლის, «საქართველოს დამცველ აბჯრის მთავარი მქედელის» სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის საკითხი და მნიშვნელობა დიდგორთან ომისა, რომელსაც დიდი და გადამწყვიტი შედეგი ჰქონდა, როგორც ქართველი ერის ისტორიაში, ისე ევროპეულ ჯვაროსანთა მდგომარეობისათვის მცირე აზიაში.

მაშინდელ პირობაში, დავით აღმაშენებლის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი იყო: — პატრონჟმობისა და პოლიტიკურ კავშირთა ნიადაგზე კავკასიის ხალხთა გაერთიანება ბაგრატიონთა დროშის ქვეშ. მისი პოლიტიკა სომეხთა მიმართ, აღმოსავლეთ კავკასიის მუსლიმანებისადმი—რანთა მიმართ და ჩრდილო კავკასიის მეზობელთა მიმართ ამ მიზნით აიხსნება, ანუ როგორც ავტორი ამბობს: — «ეს სამი ხაზი შეიცავს

ქართველ მეფეთა კავკასიურ პოლიტიკის სისტემას; და მისი სათანადო წარმოებით საქართველომ მისი ისტორიის უკეთესი ხანა იცოცხლა»-ო. (გვ. 46).

შესამჩნევია, რომ კავკასიის ისტორიის ამ საუკუნეთაგან, ავტორი სრულიად სამართლიანად დაასკვნის იმ დებულებას, რაც ესლანდელ კავკასიის ერთათვის სწორედ სავალდებულოა: — პოლიტიკა «კავკასიის ერთა შეჯგუფებისა» ანუ კავკასიის გაერთიანებისა!

«ამ დიდი სტილის პოლიტიკის განვითარებაში 1121—1123 წლ. სახსოვარი თარიღია» ეს არის თარიღი დიდგორთან ომისა, როდესაც დავით აღმაშენებელმა სასტიკად დაამარცხა მის წინააღმდეგ შემდგარი მუსლიმან სახელმწიფოთა კოალიცია. «ტფილისის აღება 1123 წ., მაჰმადიან ძალთა პოლიტიკური პირველობის მოსპობა კავკასიაში და საქართველოს ხანგრძლივი ამაღლება იმ დიდი გამარჯვების ნაყოფია, რომელიც ერგო დავით მეორეს და მის ერს დიდგორს, ქართლში 1121 წ.»

მაგრამ ამ გამარჯვებას მარტო ეს საკავკასიო შედეგი არა ჰქონია. მართალია, ამბობს ავტორი: — «საქართველოს პოლიტიკა და სამხედრო მოქმედება ფრანგ მთავართა მიზნებისაგან იმით განირჩეოდა, რომ პირველნი ხომ საკუთარი ოჯახის, საკუთარი ქვეყნის მოწყობას, განთავისუფლებას და დაცვას მისდევდა. გარედან შემოსული მტრის განსაძევებლად, და მათი სახლის გარშემო მტკიცე ზღუდის ასაგებად იბრძოდნენ ქართველები...»

მეორე მხრივ, ჯვაროსანთა ომს მცირე აზიაში მაჰმადიანთა წინ დამპყრობითი ხასიათი ჰქონდა და იყო გამოწვეული თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მიზეზებით.

მაგრამ როგორც ქართველთ ისე ჯვაროსანთ ჰქონდათ ერთი სამხედრო მიზანი: — მაჰმადიან სახელმწიფოთა დამარცხება. «მიუხედავად ქრისტიანობისა, ჯვაროსანთა და საქართველოს სოლიდარობა არ ყოფილა ღრმა და ორგანიული, არამედ უფრო დროებითი და წარმატალ გარემოებისგან ნაშობი».

«...ჯვაროსნობა არ უნდა გვესმოდეს როგორც მტკიცე, ფრანგთა და ქართველთა შემაერთებელი კავშირი; მიუხედავად მათი ქრისტიანობით გამოწვეულ ამხანაგობისა ისინი ებრძოდნენ ერთსა და იმავე მტერს სხვა და სხვა მიზნით, და მიზანიც და სული ერთი არ იყო...»

მაინც ქართველების ბრძოლას ჯვაროსნები თავისად სთვლიდნენ და ამის საბუთია ის ლათინური ქრონიკა, რომელსაც ზ. ავალიშვილი არკვევს.

ამ საკითხის გამორკვევასთან ერთად ბ-ნი ავალიშვილი ირიბად ეხება აგრეთვე მრავალ მეტად საინტერესო საკითხს საქართველოს წარსულიდან. უბრალოდ ამ წერილში შეუძლებელია აღინუსხოს ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი: — პოლიტიკური, კულტურული, სამხედრო და რელიგიის ისტორიისა, რომელიც ამ შედარებით მცირეტანიან წიგნშია გარკვეული და ზოგიც მხოლოდ გარდასაწყვეტად წარმოდგენილი. ყოველ საკითხთან კრიტიკული მიდგომა და დასაბუთება, — ეს დიდი ღირსებაა ბ-ნ ავალიშვილის ნაშრომის.

იმ ხანას, როდესაც საქართველოს ღონე წარსულში წვერვალზეა მისული ეხება მესამე ნარკვევი: «ტრაპიზონის საქმე» და აქ გამოკვლეულ ტრაპიზონის სამეფოს დაარსების ამბავი; მერმე მოხდევს «სხიცი დასავალისა», — დასაწყისი საქართველოს ძლიერების დაცემისა (მე-4 ნარკვევი).

ყველა ამ ნარკვევს თანასდევს შენიშვნები, განმარტებანი, წყარონი და საბუთების ტექსტები. და იმის მიუხედავად, რომ მრავალი სპეციალური, საქრონოლოგიო საკითხებიც არის გარკვეული, წიგნი მანც იოლად იკითხება.

ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ღარიბ ემიგრანტულ მწერლობის ასპარეზზე დილაც რომ მეტად მნიშვნელოვანი და სასახელოა; და არა მარტო ჩვენთვის! ბ-ნ ზ. ავალიშვილის ეს ნაშრომი: — «ჯვაროსანთა დროიდან» შედის აგრეთვე ჩვენს საისტორიო ბიბლიოთეკაში, როგორც ერთი მეტად შესანიშნავი ნაშრომი.

ბ. ვარდანი

სარედაქციო კოლეგია

Le Gérant : Pr. ABOULADZE.